საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის

ბრძანება №32/ნ

2024 წლის 15 თებერვალი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 26 ივნისის №52/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 26 ივნისის №52/ნ ბრძანების (www.matsne.gov.ge, 26/06/2023; სარეგისტრაციო კოდი: 010020000.22.022.018307) პირველი მუხლის:

ა) „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „ოფიციალური კორესპონდენციის/წერილის ბლანკი“ (დანართი №1) ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის №1 -ის შესაბამისად;

ბ) „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბლანკი“ (დანართი №2) ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 2

1. ეს ბრძანება გარდა ამ ბრძანების პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტისა ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ამ ბრძანების პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2024 წლის 19 თებერვლიდან.

საქართველოს განათლების,
მეცნიერებისა და ახალგაზრდობის **გიორგი ამილახვარი**
მინისტრი